გერმანიის
თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

თებ. 2022

# გერმანიის დახმარება საქართველოსთვის კოვიდ-19-ის შედეგებთან ბრძოლის ფარგლებში

გერმანიის მხრიდან 2020 და 2021 წლებში საქართველოსთვის გაწეული სახელმწიფო დახმარება კოვიდ-19-ის შედეგებთან ბრძოლის ფარგლებში მთლიანობაში შეადგენს 213 მილიონ ევროს, რაც შედგება შემდეგისგან:

- დაახლ. 2,5 მილ. ევრო ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში
- დაახლ. 204 მილ. ევრო ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში (აქედან 9 მილ. ევრო გრანტი) და
- დაახლ. 6,5 მილ. ევრო საელჩოს მხრიდან პირდაპირი დახმარების ღონისძიების ფარგლებში

| | | | |
|---|---|---|---|
|  | **დამცავი ტანსაცმელი, სადეზინფექციო საშუალებები და ტესტების მასალა**<br>89 000 - ევრო<br><br>განმახორციელებელი: GIZ |  | 5 ცალი სასუნთქი აპარატი უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს<br><br>საელჩოს ღონისძიება |
| <br> | **ტყის დამცავი ღონისძიებები** და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დახმარება **სამუშაო ადგილების შექმნით** სატყეო სექტორში. საწვავი შეშა საჯარო შენობებისთვის და **მონიტორინგის ტექნიკის** გადაცემა ტყის ეროვნული სააგენტოსთვის ბიუჯეტის შემცირების სანაცვლოდ კოვიდ-19-ის გამო.<br><br>440 000 - ევრო<br><br>განმახორციელებელი: GIZ | <br> | **დევნილთა და სოციალურად დაუცველი თემების დახმარების** ღონისძიებები: **ბინების** შეძენა, სკოლებისა და ბავშვთა და მოხუცთა ცენტრებისთვის **სანიტარული მოწყობილობებისა** და **ჰიგიენური საშუალებების** შეძენა. **დახმარება მცირე ფერმერებისა და სოციალური ორგანიზაციებისთვის,** ასევე საჯარო სექტორის დახმარება. **ფსიქოლოგიური დახმარება, საინფორმაციო კამპანია** კოვიდ-19-თან დაკავშირებით, **ინტერნეტ პაკეტების შეძენა** მოსწავლეთა დისტანციური სწავლისათვის.<br><br>1,2 მილ. ევრო<br><br>განმახორციელებელი: GIZ |

| | | | |
|---|---|---|---|
| <br> | **ადგილობრივი გამგეობების კონსულტირება** სოციალური დახმარებების განაწილებასთან დაკავშირებით მთავრობის კოვიდ-19-ის კრიზისული გეგმის შესაბამისად. **კომპიუტერებისა და სკანერების შესყიდვა** მოსახლეობისთვის სოციალური დახმარებების მოთხოვნის ელექტრონული განაცხადების შევსებისათვის. **ქალთა დახმარება მცირე საწარმოების დაარსებაში.**<br><br>220 000 - ევრო<br><br>განმახორციელებელი: GIZ | <br> | კოვიდ-19-თან დაკავშირებული **იურიდიული კონსულტაცია** სამშენებლო და ტანსაცმლის წარმოების სფეროებში მოღვაწე ფირმებისათვის. ტანსაცმლის მწარმოებელი ქართული ფირმების დახმარება **საერთაშორისო ონლაინ-გამოფენებში მონაწილეობის** კუთხით. მცირე და საშუალო საწარმოების კონსულტირება **ონლაინ ვაჭრობის** დანერგვის საკითხში.<br><br>20 000 - ევრო<br><br>განმახორციელებელი: GIZ |
|  | **სურსათი და ჰიგიენური საშუალებები** საჭიროების მქონე პირებისთვის<br><br>20 000 - ევრო<br><br>სელჩოს მცირე პროექტი |  | **სასურსათო ამანათები** ევანგელიურ-ლუთერული ეკლესიის მრევლის საჭიროების მქონე წევრებისთვის და **ტექნიკური აღჭურვილობა** ონლაინ-ღმრთისმსახურების ჩასატარებლად<br><br>2 500 - ევრო<br><br>საელჩოს ღონისძიება |
| <br> | **კერძო სექტორისა** და **პროფესიული განათლების ხელშეწყობა** შემდეგ სფეროებში:<br><br>• IT<br>• ტრანსპორტირება და ლოგისტიკა<br>• ტურიზმი<br>• ღვინო<br><br>500 000 - ევრო<br><br>განმახორციელებელი: GIZ | <br> | სესხი **ბიზნეს-სექტორის** კონკურენტუნარიანობისა და კრიზისის მიმართ მდგრადობის **ხელშეწყობისათვის** 180 მილ. ევრო<br><br>15 მილ. ევროს სესხი და 8,8 მილ. ევროს გრანტი უმუშევართა, არაფორმალურად დასაქმებულთა და მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილის **სოციალური უზრუნველყოფისათვის**<br><br>განმახორციელებელი: GIZ |

| | | | |
|---|---|---|---|
|  | **გენერატორი,** სამედიცინო აპარატურა, **სწრაფი ტესტები,** დამცავი ნიღბები და სადეზინფექციო საშუალებები სამედიცინო დაწესებულებებისთვის **აფხაზეთში.**<br><br>45 000 - ევრო<br><br>საელჩოს მცირე პროექტი |  | 3024 კოვიდ-მედიკამენტის **უსასყიდლოდ გადაცემა** ჯანდაცვის სამინისტროსთვის<br><br>6,3 მილიონი ევრო<br><br>საელჩოს ღონისძიება |